



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

ღამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აკრილი
(60სა60)
№4 (390)
(5774)
2014

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

გლოტავთ ფესახს – ეკვიტკელთა ძინთბიდან ებრაელთა
განთავისუფლების დღესასწაულს, ებრაელობამ ამ დღეებში
აიღო გეზი ღვთისგან ბოძებული ქენახისაკენ!



მეკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა

30 მარტიდან 2 აპრილამდე პარიზში მიმდინარეობდა მსოფლიოს ებრაული კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. კონგრესის პრეზიდენტი, აღმასრულებელი კომიტეტის წევრები-- ვიცე-პრეზიდენტები პარიზში შეიკრიბნენ მსოფლიოს ებრაელობის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად.

აღმასკომის სხდომა გახსნა პრეზიდენტმა როლანდ ლაუდერმა. მოსმენილი იქნა აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის რობერტ ზინგერის და პროგრამების ხელმძღვანელის სონია გომეს მესგიუტას ინფორმაციები მიმდინარე საკითხების თაობაზე.

აღმასკომის მსჯელობის მთავარი თემა მაინც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ებრაული თემების მდგომარეობა იყო. ამ ეტაპზე კი დიდი დაინტერესების საგანი გახლდათ უკრაინაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში მიმდინარე პროცესები და მათი ზეგავლენა ებრაელთა ყოფაზე.

საფრანგეთში ებრაელობის წინაშე არსებულ პრობლემებზე, რაც გამოწვეულია ამ სახელმწიფოში ანტისემიტის ზრდით, ისაუბრა საფრანგეთის ებრაული თემის ლიდერმა როჯერ ცუკერმანმა. მომხსენებელმა კონგრესის აღმასკომის წევრებს დაწვრილებით უამბო, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა საფრანგეთის ებრაელობა მას შემდეგ რაც ამ ქვეყნის მოსახლეობაში მკვეთრად გაიზარდა მუსლიმი მოსახლეობის ხვედრითი წილი. სადღესოდ ამ ქვეყანაში ასი-ათასობით მუსლიმი ცხოვრობს. ამ მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება ანტისემიტურ აქციათა რაოდენობა, ტერორისტული აქტებიც კი იქნა მოწყობილი. მან განაპირობა საფრანგეთის ებრაელობაში ისტორიულ სამშობლოში რეპატრაციისაკენ ლტოლვა. როჯერ ცუკერმანის მოხსენების მთავარი თემა დაადასტურა აღმასრულებელი კომიტეტის პარიზის გარეთ გასვლამაც — ამ ქალაქში, ისე როგორც საფრანგეთის უმეტეს კუთხეებში ებრაელობა 26 საუკუნეა ცხოვრობს, მას შემდეგ, რაც ნაბუქოდონოსერმა იერუსალიმი დააქცია. დღეს კი ერთობ ძლიერია არასტაბილურობის განცდა — დაცვის გარეშე გადაადგილება ერთობ საშიშია.

უკრაინის საკითხზე აღმასკომის წევრებს სამი ორატორი ესაუბრა: უკრაინის ებრაული ორგანიზაციების კონფედერაციის თავმჯდომარე ბორის ფუხმანი, უკრაინის მთავარი რაბი იაკობ დოვ ბლეიხი და უკრაინის „ვაადის“ თავმჯდომარე იოსებ ზისელსი. იაკობ დოვ ბლეიხისა და იოსებ ზისელსის პოზიცია თითქმის ერთმანეთს — ისინი აცხადებდნენ, რომ რუსეთი აგრესორია მან მიიტაცა უკრაინის ტერიტორია, ხოლო რაც შეეხება ანტისემიტურ აქტებს, იოსებ ზისელსი ადასტურებდა რომ კიევის „ევრომაიდანის“ აღზევების შემდეგ უკრაინაში ანტისემიტური აქციები არ გაზრდილა. აი, ბორის ფუხმანი კი აღმასკომს წარმოუდგინა ვიდეო კლიპი, რომელიც ძალიან ჰგავდა იმ კადრებს, რომელსაც რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ. ამ კლიპში უკრაინის რევოლუციის ლიდერები



წარმოდგენილი გახლდნენ, როგორც შოვინისტები და ანტისემიტურ გრძნობათა გამღვივებელი.

აღმასკომმა უკრაინასთან დაკავშირებით განიხილა რეზოლუციის სამი პროექტი: მსოფლიოს ებრაული კონგრესისა, ევრაზიის ებრაელთა კონგრესისა და უკრაინის ვაადისა. იმის გამო, რომ მეკ-სა და ევრაზიის კ-ის რეზოლუციები ფაქტიურად ბევრ საკითხში ერთმანეთს ემთხვეოდა, ევრაზიის კონგრესმა თავისი პროექტი მოხსნა. მიღებული იქნა მეკ-ის რეზოლუციის პროექტი, (წინააღმდეგი გახლდათ აღმასკომის ერთი წევრი—მეკ-ის ვიცე-პრეზიდენტი იოსებ ზისელსი).

რუსეთის ებრაელობის თაობაზე აღმასკომს მოხსენებები წარუდგინეს რუსეთის „ვაადის“ თავმჯდომარემ მიხეილ ჩლენოვმა, რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა იური კანერმა და მოსკოვის მთავარმა რაბინმა ფინხას გოლდშმიტმა. აქ აღინიშნა შედარებით სტაბილური მდგომარეობა — ანტისემიტური აქტების კლების ტენდენციაც კი.

აღმასკომს არც ირანის ბირთვული ამბიციები დარჩენია ყურადღების მიღმა.

უნგრეთში შექმნილ სიტუაციაზე ისაუბრა ანდრას ჰეისლერმა. ამ ქვეყანაში ებრაელთა, განსაკუთრებით კი ისრაელელ ბიზნესმენთა მუშაობის პირობები გართულდა მას შემდეგ, რაც პარლამენტში პარტია „ჯობიკა“ მანდატები მოიპოვა..

ისრაელის ამბები

აკრძალვა

ისრაელის ტერორთან ბრძოლის სამმართველომ ფესახის დღესასწაულის წინ გამოაქვეყნა იმ ქვეყნების სია, რომელში წასვლასაც ისრაელელებს არ ურჩევენ.

ამ სიაში სულ 41 ქვეყანა შევიდა, ქვეყნები კლასიფიცირებულია კატეგორიებად — იმის მიხედვით, თუ სად მეტი ალბათობაა ტერორისტული აქტის მოწყობისა. პირველ კატეგორიაში შევიდა ცხრა სახელმწიფო, რომლებშიც ყველაზე მეტად არის შესაძლებელი ისრაელელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობა. ესენია: ერაყი, საუდის არაბეთი ირანი, იემენი, სომალა, სირია, სუდანი, ლიბანი. ისრაელელებს ამ ქვეყნებში ჩასვლა კატეგორიულად ეკრძალებათ. ოთხ ქვეყანაში კი არსებობს რეალური კონკრეტული საშიშროება ისრაელის მოქალაქეების წინააღმდეგ გალაშქრებისა და სახელმწიფო მათ ურჩევს სასწრაფოდ დატოვონ ალჟირი, ტუნისი, ჯიბუტი, მავრიტანია.

შემდეგ ჯგუფს ქვეყნებისა, რომლებშიც არსებობს საშიშროება, განეკუთვნება: კუვეიტი, არაბთა გაერთიანებული ემირატი, ბაჰრეინი, იორდანია და ეგვიპტე-სამმართველო ისრაელელებს ურჩევს თავი შეიკავონ მაროკოსა და ომანში გამგზავრებისაგან. ასევე გამოთქმულია მოსაზრება კენიაში, ნიგერიაში, თურქეთსა და აზერბაიჯანში გამგზავრებისაგან.

თალთი რაბინთა გასამართლება

იერუსალიმის საოლქო სასამართლომ დაამთავრა თალთი რაბინთა საქმის შესწავლა. საქმეში შვიდი რაბინი ფიგურირებდა. ძიების მასალების მიხედვით სასამართლომ შვიდივე დამნაშავედ სცნო: ამ ადამიანებმა 1999 წლიდან 2003 წლამდე „ცახალის“ 1500 თანამშრომელზე რაბინთა ფიქტიური მოწმობა გასცეს. შემდგომ ეს „რაბინები“ ყოველთვიურად ხელფასზე დანამატის სახით ლებულდნენ 2000-4000 შეკელს. აქედან გამომდინარე, გაზრდილი იქნებოდა მათი პენსიაც.



თბილისის ქართველ ებრაელთა გაითქმენი 14 აპრილს ებრაელობას ფასახი მოულოა თბილისის მარის მოვალეობის შამ-სრულაზე 1-ნმა სპონია უბრახალიკა

ისრაელის ამბები

რუსეთის დუმა და ჰოლოკოსტი

რუსეთის დუმამ პირველი კითხვით მიიღო კანონპროექტი, რომელიც კრძალავს ნაციზმის რეაბილიტაციას და იმ დანაშაულთა უარყოფას, რომელიც დადგენილია ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ. ასე რომ რუსეთში ჰოლოკოსტის უარყოფა დასჯადი ხდება. ამ დანაშაულის ჩამდენი სამ წელიწადს ციხეში გაატარებს, ან ჯარიმის სახით სამასი ათას რუბლს გადაიხდის.

იერუსალიმის სტატუსი და რუსეთი

მოსკოვის „რუსული უცხოეთის“ შენობაში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „იერუსალიმის პრობლემა საერთაშორისო სამართლის პრიზმაში“ კონფერენციის ორგანიზატორები გახლდნენ „რუსული ცენტრი „იერუსალიმი“, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია და სხვ. სამეცნიერო კონფერენციაზე სიტყვები წარმოსთქვეს არაბული ქვეყნების მაღალჩინოსნებმა. ისინი ერთხმად და მხურვალედ მიესალმებოდნენ რუსული ცენტრის „იერუსალიმის“ ინიციატივას, რომელიც მოითხოვს იერუსალიმს დაუბრუნდეს მსოფლიოს რელიგიათა საკრალური ცენტრის სტატუსი, სტატუსი ქალაქისა, რომელშიც შენარჩუნებული იქნება ყველა კონფესიის თანასწორობა. კონფერენციაზე ასევე მოითხოვეს პალესტინას დაუბრუნდეს მისი დედაქალაქი იერუსალიმი. კონფერენციის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ვლადიმერ პუტინის როლს ახლო აღმოსავლეთის საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტაში.

როგორც საიტი „ისლამის სიახლენი“ იუწყება კონფერენციაზე გამოვიდა 20 მომხსენებელი — რუსები და მუსლიმები. მათ შორის გახლდათ ისრაელელი ისრაელ შამირი.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ისრაელის ერთ-ერთ რუსულენოვან საიტზე გამოჩნდა ვინმე ვლადიმერ ბოგუსლავსკის სტატია „ეს ქანცგანყვეტილი რეპატრიანტები თავის სამშობლოში რუსეთს მუურაცხყოფენ და რატომღაც მხარს არ უჭერენ კრემლის პოლიტიკას“. ეს ბოგუსლავსკი ხელმძღვანელობს ორგანიზაცია „შემეტს“, რომელიც დაკავშირებულია „რუსსკი მირ“-თან. „რუსსკი მირის“ ამოცანა კი ის არის, რომ ისრაელში წინ წასწიოს რუსული ენა და რუსული კულტურა.

ლიბერმანის დაპირება:

— შესაძლოა, ძალიან მალე ისრაელის პრემიერ-მინისტრად რუსულენოვანი ადამიანი ვიხილოთ! — ასეთი განცხადება გააკეთა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა ნიუ-იორკის რუსულენოვან ებრაელობასთან შეხვედრაზე. სტუდენტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან ეს შეხვედრა მოამზადა რუსულენოვანი ებრაელობის აშშ ფორუმმა. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრა, რომელსაც 500 ადამიანი ესწრებოდა, ბრაიტონ ბიჩის სინაგოგაში გაიმართა. როგორც მინისტრის გარემოცვაში აღნიშნეს, შეხვედრას არ ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი — მინისტრის მიზანი გახლდათ რუსულენოვანი ებრაელობა დაერწმუნებინა, რომ ისრაელი ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც ებრაელს ძალუძს ხელისუფლების სათავეშიც კი მოექცეს და ამის დასტურად ქნესეთის სპიკერის იული ედელშტეინის, „სოხნუთის“ თავმჯდომარის ნათან შჩარანსკის მაგალითი მოიყვანა.

— მხოლოდ ისრაელში შეიძლება 20 წლის წინათ ჩასული რეპატრიანტი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდეს — თქვა მან.

ებრაული ნიგნის პრეზენტაცია საქართველოს უნივერსიტეტში

როგორც ჩვენი გაზეთი უკვე იუწყებოდა, სულ ცოტა ხნის წინათ ისრაელში არიელის უნივერსიტეტის ებრაული მემკვიდრეობის განყოფილების პროფესორმა, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაულ თემთა კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა რეუვენ ენობმა (რუბენ ენუქაშვილმა) გამოსცა ნიგნი „ფესახის აგადის ტრადიციული თარგმანი ქართველ ებრაელთა მიერ“. საქმე ეხება ტექსტს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, და, ახლა პირველად იხილა მზის შუქი.

აღნიშნული ტექსტი მრავალმხრივ საინტერესოა აგადის თარგმანის (და საერთოდ წმინდა ნიგნებისა და ებრაული საბაზისო ლიტერატურის თარგმანის) სპეციალისტებისათვის, ებრაელთა ენების მკვლევართათვის, ებრაულ დიასპორათა მემსწავლელთათვის და ა. შ., მაგრამ იგი არანაკლებ საინტერესოა ქართული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის მკვლევარებისათვის. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს უნივერსიტეტი დაინტერესდნენ ახალგამოქვეყნებული ნიგნით და ავტორი სპეციალურად მოიწვიეს მისი წარდგენისა და ქართველ მეცნიერთათვის გაცნობის მიზნით.

3 აპრილს ნიგნის პრეზენტაცია გაიმართა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 4 აპრილს ისრაელიდან ჩამოსულ სტუმარს უმასპინძლეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ებრაისტიკისა და არამეისტიკის განყოფილების პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ნიგნი ებრაულადაა გამოცემული, მისმა პრეზენტაციამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია ორივე უნივერსიტეტში, რაც, რა თქმა უნდა, იმან განაპირობა, რომ თვითონ პროფ. რუბენ ენუქაშვილმა დანერგებით განმარტა წმინდა ნიგნების ქართველ ებრაელთა მიერ შესრულებული თარგმანების მნიშვნელობა ქართული ფილოლოგიისა და აზროვნების ისტორიისათვის.


ქუთაისის უნივერსიტეტში შეხვედრისადმი ინტერესს იხიც ზრდიდა, რომ რუბენ ენუქაშვილი ამ ქალაქიდან არის წარმოშობით და თავის მეცნიერულ მოღვაწეობაში უხვად იყენებს ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებისა და ისტორიის ნიმუშებს. წინამდებარე გამოცემის ერთ-ერთი ვარიანტი სწორედ ქუთაისიდან ისრაელში ამოსული თალმიდ-ხახმის, დიდი ხახამ იაყაკობ დავარაშვილის აღზდილის შალომ ჩიკვაძევილისგან არის ჩანერგილი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნიგნში დამატების სახით არის ჩართული რეუვენ ენობისა და ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორის, ნიგნის ავტორის ყოფილი სტუდენტის რუსუდან სალინაძის ერთობლივი სტატია, რომელიც არიელისა და ქუთაისის უნივერსიტეტების ერთობლივი სამეცნიერო მუშაობის კიდევ ერთი ნიმუშია.

ქუთაისის უნივერსიტეტში შეხვედრას დაესწრნენ პრორექტორი პროფ. შალვა კირთაძე, რომელმაც შეხვედრის დაწყებამდე საზეიმო ვითარებაში მიიღო სტუმარი, კანცლერი მერაბ ირემიძე. შეხვედრა გახსნა ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, რომელმაც ვრცლად მიმოიხილა რეუვენ ენობის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საქართველოსა

და ისრაელში. შემდეგ მან სიტყვა ნიგნის ავტორს გადასცა. რეუვენ ენობმა გააცნო შეკრებილთ ის უმთავრესი საკითხები, რომლებზეც მასშია ყურადღება გამახვილებული, და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ ქართველ მეცნიერთა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ამ თარგმანებს, როგორც ისტორიული ქართული მეტყველების ლამის ცოცხალ ნიმუშებს. სიტყვით გამოვიდნენ პროფ. რუსუდან სალინაძე, პროფ. ნესტან კირთაძე, პროფესორი ომარ გვეტაძე (ორი უკანასკნელი, პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილსა და კიდევ ერთ ისრაელ პროფ. ორციონ ბართანასთან ერთად, თანაავტორები არიან პროექტისა, რომელიც ისრაელში ქართულენოვანი ლიტერატურის შესწავლას ისახავს მიზნად), პროფ. თამარ ლომთაძე (იგი და რეუვენ ენობი, ისრაელის, საქართველოს უნივერსიტეტებისა და გერმანიის ქ. ფრანკფურტის უნივერსიტეტის მკვლევართან ერთად, მონაწილეობენ „ფოლკსვაგენის“ ფონდის მიერ დაფინანსებულ დიდ საერთაშორისო პროექტში), ასოცირებული პროფესორი ლუკა დვალიშვილი. დაისვა საკითხი ნიგნის ქართულად თარგმნისა და უკიდურეს შემთხვევაში თვით ნათარგმნი ტექსტების გამოცემის შესახებ.

თბილისის უნივერსიტეტში შეხვედრამ ცოტა სხვა სახით ჩაიარა. იგი გახსნა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა პროფ. დარეჯან თვალთვაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ დამსწრეთა უმეტესობა შესანიშნავად იცნობს პროფ. რეუვენ ენობს, რომლის ცხოვრების უმნიშვნელოვანესმა ნაწილმა მათ თვალწინ ჩაიარა როგორც ჯერ სტუდენტისა და ასპირანტისა, ხოლო შემდეგ მკაცრი, მაგრამ სტუდენტებისათვის გამორჩეულად საყვარელი ლექტორის, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის და ქართული ენის საყოველთაო მასწავლებლის, ამიტომ უმჯობესია თვით ნიგნის გაცნობა მსმენელებისათვის ავტორის მიერ. რეუვენ ენობმა ნიმუშების მოშველიებით მეტად საინტერესოდ ისაუბრა ქართველ ებრაელთა მიერ თარგმნილი ტექსტების მნიშვნელობის შესახებ ქართული მეცნიერებისათვის, დააყენა საკითხი ქართველ ებრაელთა მეტყველების ადგილის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ და სხვა. განსაკუთრებით ცხოველი ინტერესი გამოიწვია შეხვედრის მეორე ნაწილმა, რომელსაც უკვე ებრაისტიკისა და არამეისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი პროფ. მარიკა ჩაჩიბაია უძღვებოდა. მომხსენებელს შეკითხვები დაუსვეს და შენიშვნები გამოთქვეს რეუვენ ენობის საყვარელმა მასწავლებელმა, მსცოვანმა პროფესორმა მზექალა შანიძემ, მისმა უფროსმა მეგობარმა აკადემიკოსმა ელგუჯა ხინთიბიძემ, უნივერსიტეტის ებრაული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა პროფ. გურამ ლორთქიფანიძემ, რეუვენ ენობის ოდნავ უფროსმა თუ თანშემზრდილმა მეგობრებმა პროფ. დამანა მელიქიშვილმა, პროფ. მარიკა ჯიქიამ, პროფ. გიორგი გოგოლაშვილმა, პროფ. ვახტანგ იმნაიშვილმა, ქართველ ენათმეცნიერთა მომდევნო თაობის წარმომადგენელმა, ქართული ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფ. რამაზ ქურდაძემ და სხვებმა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები, ცნობილი მწერალი, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებისა“ და გაზეთ „მეზორას“ რედაქტორი გურამ ბათიაშვილი, ქ-ნი ზაირა დავარაშვილი და სხვები.



ისრაელელი ავტორის პიესა მარჯანიშვილის თეატრის „ახალ სცენაზე“

ქართული თეატრის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ კ. მარჯანიშვილის თეატრმა გასულ სეზონში „ახალი სცენა“ გახსნა, ეს არის მარჯანიშვილის თეატრის მოპირდაპირე ეზოში სარდაფი, რომელსაც თეატრალური იერსახე მისცეს. „ახალ სცენაზე“ უმეტესწილად იდგმება ე.წ. მცირეგაბარიტის პიესები, ნაწარმოებები, რომლებშიც სულ რამდენიმე მოქმედი პირია. „მცირე სცენა“ მაყურებელთა შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, პოპულარობით სარგებლობს.

აი, ამ სცენაზე მარტის დასასრულს განხორციელდა ისრაელში მცხოვრები მეცნიერისა და მუსიკოსის ალექსანდრე პელეგის (ელიგულაშვილის) პიესა „მეხვედრით სამოთხეში“. ალექსანდრე პელეგი მრავალმხრივ ნიჭიერებას ავლენს, საქართველოში იგი მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა და ერთ-ერთ ნაშრომში, როგორც ავტორთა ჯგუფის წევრმა, სახელმწიფო პრემიაც კი მიიღო, ისრაელში კომპოზიტორად და მომღერლად მოგვევლინა და აი, ბოლოს – პიესა „მეხვედრით სამოთხეში“.

პიესა დადგა ალექსანდრე ელოშვილმა. ალ. ელოშვილი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ლევან წულაძის მონაფეა, იგი პირველ ნაბიჯებს დგამს რეჟისურაში და საკმაო ნიჭიერებასაც ავლენს.

სპექტაკლის მხატვარია ნინო სურგულაძე, კომპოზიტორი მისა მდინარაძე, როლებს ასრულებენ: გურამ ჯაში, ზურა ბერიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ნოდარ დოლონაძე და დავით ხურცილავა.

მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად, ტაპით მიიღო.



რა ხდებოდა თბილისში 2012 წლის ფურცლის ღამეს?

ებრაელი ერის კლასიკური მემკვიდრეობის ერთ-ერთი დიდებული ნიმუში – „ესთერის წიგნი“ სიკეთის გამარჯვების აპოლოგია – ერმა შექმნა წიგნი, რომელიც ჩაგვაგონებს, რომ ბოროტებას უცილობლად ამარცხებს სიკეთე. ებრაელი ხალხი ფურცლის დაღობაზე ინტელექტის გამარჯვებას დღესასწაულობს.

...იყო მეფე ახაშვეროში — დიდი სიუხერენი იმპერიისა – მეფე-გამგებელი წინდახედული და მშვენიერების დამფასებელი. სწორედ ამ თვისებების მეოხებით გამოარჩია ებრაელი ქალი — ესთერი.

ისე როგორც ყოველ მეფეს, ახაშვეროსაც ჰყავდა ვეზირნი. ახაშვეროსი კარზე დიდი გავლენა ერთმა მათგანმა – ჰამანმა მოიპოვა. ჰამანი ყოველისშემძლე გახლდათ, რადგან ახაშვეროსთან მიესვლებოდა. არა მხოლოდ მიესვლებოდა, სიტყვაც ეთქმოდა. ვეზირნი კი სიუხერენთ უმეტესწილად იმას ეუბნებოდა, რაც მათს გავლენას განამტკიცებს.

და იყო მორდეხაი – ზნობით, გონიერებით, წინდახედულობით აღვსილი კაცი – მორდეხაის სახის ანალიზი მაძლევს უფლებას ვთქვა: მსოფლიო ლიტერატურაში იგი ერთ-ერთი პირველი ინტელექტუალია – ეპოქაში, როცა გმირობის უწინარესი პირობა მკლავის ძალა გახლდათ, „ესთერის წიგნი“ შეიქმნა ჩინებული სახე ინტელექტუალისა. იგი გონიერებით ამარცხებს ებრაელი ერის უძლეველ მტერს.

ყოველისშემძლე ჰამანმა აღმოაჩინა, რომ ამ უზარმაზარ სამეფოში იყო ადამიანი, რომელიც მის წინაშე „მუხლს არ იყრია და თაყვანს არ სცემდა მას. და ჰამანი აღივსო რისხვით“. და უთხრა ახაშვეროს: „არის ერთი ერი — მიმოვანტული და განთიხილი... მათი კანონი განსხვავდება ყველა ხალხის კანონთაგან და არ ასრულებენ მეფის კანონებს“.

მიაქციეთ ყურადღება ფრაზას: „და არ ასრულებენ მეფის კანონებს“ ახაშვეროს ის კი არ უთხრა არის ერთი კაცი — მორდეხაი, რომელიც ჩემს წინაშე მუხლს არ იყრისო, არამედ არის ერი, რომელიც მესს კანონებს არ ასრულებსო.

ახაშვეროსმა და ჰამანზე საუბარი აქ შევეწყვიტოთ. ჩემი მიზანი არ გახლავთ „ესთერის წიგნის“ ანალიზი. ეს საქმე ალბათ, წინა მაქვს, რადგან აგერ სულ ახლახან ერთმა რეგალიებით შემკულმა მეცნიერმა ქალბატონმა საქართველოში — ებრაელთა ამ მეგობრულ ქვეყანაში — „ესთერის წიგნის“ ზეიდა — ერის გადარჩენისთვის ბრძოლა — **ესთერიზმად** მონათლა და ებრაელობას ათას ცოდვაში დასდო ბრალი. ამჯერად მინდა მკითხველს ვუთხრო იმაზე, თუ რა ხდებოდა თბილისში 2012 წლის ფურცლის ღამეს.

როგორც ითქვა, ახაშვეროში სპარსეთის მეფე გახლდათ — პატივდებული და მორჩმული, ზღვათა და ხმელეთის მპყრობელი. ჩვენ, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებრიობას გვყავდა ღირსეული მეთაური — ერთობ პატივდებული მოღვაწე ბ-ნი გიგა ლორთქიფანიძე. იგი ახაშვეროშივით ზღვებსა და ხმელეთს არ ფლობდა, მაგრამ ფლობდა მეტად ძვირფას, იქნებ, უფრო ძნელად მოსაპოვებელს — ადამიანთა გულებს. იგი უყვარდათ და უყვართ საქართველოში. მის საზღვრებს გარეთაც.

ფურცლის იმ ღამეს ბ-ნი გიგას გვერდით იდგა ერთ დროს მისი შეგირდი, დღეს კი სახელგანთქმული მსახიობი და რეჟისორი, ქართველთა საყვარელი შემოქმედი გოგი ქავთარაძე. როცა ბ-ნმა გიგამ იგრძნო, რომ ასაკი ერეოდა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების მესვეურობა სწორედ მას — გოგი ქავთარაძეს გადააბარა.

ამ საღამოსაც ბ-ნმა გიგამ უხმო: ებრაელები მოდიან, მოდი, ეს ამბავი შენც გეხება.

...ლესელიძის ქუჩაზე, ორივე ბეით ქნესეთში (სინაგოგაში) ებრაელობას „ესთერის წიგნი“ გადაუშლია და კითხულობს ჰამანის ვერაგობის ამბავს.

პ.იაშვილის ქუჩაზე კი — ბატონ გიგა ლორთქიფანიძის სახლში შედიან ებრაელები. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი.

ხუთი ებრაელი წარუდგება ქართული თეატრის მესვეურთ.

ფურცლის ღამეს ამ ხუთ ებრაელს თეატრალური საზოგადოებრიობის მესვეურებთან რა ესაქმებათ? ისინი ხომ ახლა სპარსეთის სამეფოში ებრაელი ხალხის გადარჩენას უნდა დღესასწაულობდნენ! ამ დღესასწაულისას, როცა ებრაული ტრადიცია ლოცვას, ქეიფს, დროსტარებას, მე-

ამ დღეებში დასავლეთ საქართველოში ერთმა წესიერმა კაცმა გაზეთების დასტა გამომიწოდა: „ჯამლექ ხუხაშვილმა ამ გაზეთების ხალხში გავრცელება დამავალა, როცა ვუთხარი ეს უკადრისი საქმეა, შესძახა: იცი ბათიაშვილმა რა გააკეთა?“ თურმე ეს ორდენოსან-ჯინჯილოსან-ჩინოსანი ხუხაშვილი ქალაქ-ქალაქ არიგებს გაზეთებს (აქამდე ქორწილებში, კონცერტებზე, დაბადების დღეებზე თუ გასვენებებზე არიგებდა) რომლებშიც ჩემ ლანძღვას ბოლო არ უჩანს. ამიტომ აუცილებელი გახდა, მკითხველს გავაცნო რამდენიმე ფაქტი.

გობარ-ნათესავების დასაჩუქრებას, გახალისებას ჩაგვაგონებს, ესენი აქ რამ მოიყვანა?

მაგრამ ჯერ ის ვნახოთ, ვინ არიან, ესენი, ვინ აქცია ზურგი ერის ტრადიციული დღესასწაულის საზეიმო ლოცვა-აღნიშვნას და ვინ დაადგა იმ გზას, რომლის შესხენების გამოც კი გამირისხედებოდა, მაგრამ ეს გზა ხომ მათ აირჩიეს?

სპორტული კომენტატორი, სპორტული რადიო...

აქ კი საგონებელსა ვარ — ეს კაცი თავისი ნამდვილი სახელით მოვიხსენიო, თუ მკითხველს ზოგადად მივანიშნო, ვისზეა ლაპარაკი. იქნებ, სხვა სახელი შევთხოვა? მისი ვინაობა ისედაც გასაგები იქნება. სხვები? იქნებ, ის სჯობდეს, არცერთის სახელი არ გავამხილო მათ ჰყავთ შვილები, შვილიშვილები. ხომ შესაძლოა, დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ, რომელიმე მათგანს შვილიშვილმა ჰკითხოს: „ბაბუ, ასეთ უღირს საქმეს რატომ სჩადიოდი?“ თუ შვილიშვილი არ იკითხავს, ხომ შეიძლება მას — შვილიშვილს ჰკითხონ: „განა, შენი ბაბუა არ იყო ადამიანის ღირსების შელახვას, გალანძღვას, რომ ცდილობდა? შენ ხომ იმის შვილიშვილი ხარ?“

ამ ადამიანებს ერის ღირსეულ შვილებად მოაქვთ თავი. ეს მათი უფლებაა — როგორც ენადოთ, ისე წარმოადგინონ თავი, მაგრამ საზოგადოებამ ხომ უნდა იცოდეს თუ რა სულიერების პატრონებიც გახლავან. ამიტომ, თუ ამათ გვარებს არ ჩამოვანიკნიკებ, თუ ქვეყანა არ გაიგებს ვინ ვინ არის, წერას რა აზრი აქვს? ჩვენ ხომ მკითხველის გართობა არ დაგვისახავს მიზნად, ჩვენ ადამიანთა გაფრთხილება გვნადია. იმათ თავიანთი სამარცხეულო, უკადრისი საქმე უკვე გააკეთეს, მათს ნამოქმედარს, ვერავინ ნაშლის, ვერც შეცვლის. ისლა გვრჩება, სხვებს ჩავგაგონოთ: რა სიტუაციაშიც არ უნდა მოხვდეთ, რა ზემოქმედებაც არ უნდა იქონიონ, უკეთურ საქმეს განერიდონ.

უნდა ითქვას, ყოველი მათგანის გვარი აქ უნდა ჩამოიკნიკდეს, რათა მათს ქმედებს დაერქვას ის სახელი, რასაც იმსახურებენ. თუ ისინი არ ერიდებიან უღირს ქმედებას, ჩვენ მათი სახელის გამხელა რად გვეთავილება? ესენი ხომ 18 წლის ბიჭები არ არიან, გაუაზრებლად, ემოციით რომ ემოქმედებდნენ? მათ ხომ იმის პრეტენზია აქვთ ერის დიდ მსახურებად წარმოგვიდგინონ თავი.

დელეგაციის შემდგენელი ჯამლექ ხუხაშვილია — სპორტული კომენტატორი, სპორტული რადიოს ხელმძღვანელი ორდენოსან-ჯინჯილოსან-ჩინოსანი დიახ, სწორედ ის კაცი, ტელეეკრანზე სახელმწიფოს პირველი პირების ირგვლივ ხშირად რომ ტრიალებს: პრემიერ-მინისტრი, თუ მინისტრი ინტერვიუს იძლევა? ჯ. ხუხაშვილი „შემთხვევით“ იქვე მობილურით ვილაცას ესაუბრება. ამ სცენას ერთი მიზანი აქვს: ტელემედიკოსებისათვის თავისი პერსონის წარდგინება, როგორც ხელისუფლებასთან დაახლოებული პირისა. ხომ ხედავთ, ამათ გვერდით როგორ ვტრიალებ, ფრთხილად იყავით!

ჯ. ხუხაშვილი ბატონი გიგასა და გოგის წინაშე თავის მიმყოფელ წარადგენს:

— აი, აკადემიკოსი გურამ პაატაშვილი, კომპოზიტორი, საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, ამის მუხისკას მსოფლიო უკრავს!

ბატონი გიგა საგონებელს არის: თავისი დის — საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერის, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის გამოისობით მეცნიერთა შორის ბევრი მეგობარი ჰყავს, რამდენ აკადემიკოსთან, პროფესორთან უქეიფნია, უკამათნია, მოუსმენია... ასეთი აკადემიკოსი — გურამ პაატაშვილი... არ სმენია. თავს საყვედურობს ეს როგორ მომივიდაო. თურმე ეს აკადემიკოსი კომპოზიტორიც ყოფილა, საერთაშორისო პრემიების ლაურეატიც — ერთხელ მაინც როგორ ვერ მოვისმინე მისი მუსიკაო.

ჯ. ხუხაშვილი კი წარდგენას განაგრძობს: — ეს კი ჩვენი თავადი რაფიელ მესენგისერია. კიდევ ვინ არის?

მერაბ ჩანჩალაშვილი — საქართველოს ებრაელთა კავშირის წარმომადგენელი. ეს კავშირი ახლახანს შეიქმნა და მისი ერთ-ერთი მესვეური თუ რო-

გორ ხედავს კავშირის ამოცანას, აგერ ამ ნუთშიც ჩანს — სწორედ ებრაელთა საკითხის „მოსაგვარებლად“, მნიშვნელოვანი ამოცანის გადასაწყვეტად მოსულა თეატრალური სამყაროს მესვეურებთან.

მეხუთე ვინ არის? ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი წინუაშვილი.

„შენ აქ რამ მოგიყვანა!“

გოგი ქავთარაძე გაოცებული აცქერდება ბ-ნი გივის, მერე კი ეკითხება:

— თქვენ ხომ გურამთან... ჩვენ ხომ გურამ ბათიაშვილის ოჯახში შევხვედრივართ ერთმანეთს? ბ-ნი პროფესორი თავს ხრის და უგერგილოდ პასუხობს: „დიახ“.

და იწყება ბრალდებების კასკადი. — გურამ ბათიაშვილი საქართველოს მტერია. დაწერა საქართველოში ანტისემიტური მიძინვარება.

— გურამ ბათიაშვილი საქართველოს მოლაღატა!

— გურამ ბათიაშვილი თქვენ, პირადად თქვენ გატყუებთ, ბატონო გიგა — მან ისრაელის მოქალაქეობაც მიიღო (როგორ ენათესავება ეს ფრაზა ჰამანის ნათქვამს ახაშვეროსისადმი: „და არ ასრულებენ მეფის კანონებს“).

— ელჩი — შაბთაი ცური გავცილანდა!

— 1970 წელს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა გურამ ბათიაშვილის სტატია, რომელშიც სიონიზმს ამართახებდა.

ბ-ნი გიგა ფიქრობს: „მახსოვს მაშინ ცნობილ ხელოვანთა: ელინა ბისტრიცკაის, მაია პლისიცკაის, არკადი რაიკინის, იური რაიზმანის, ბევრი მეცნიერის, მოღვაწის გამოსვლებიც დაიბეჭდა...“

— მე ნარკობარონობაში დამდო ბრალი — განაგრძობს ხუხაშვილი.

მას პაატაშვილი ენაცვლება:

— მე აკადემიკოსი ვარ, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. გ. ბათიაშვილი კი გაიძახის ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა 200 დოლარი ღირსო.

გ. ლორთქიფანიძეს გულს ეშვება: „აი, რა აკადემიკოსიც ყოფილა, საიდან მეცოდინებოდა!“

— ყველგან ეგ დადის, ყველა საერთაშორისო ებრაულ ორგანიზაციაში ეგ არის. ჩვენ არაფერი ვართ?!

— ინვევენ და მიდის. თავისი სურვილით ხომ არ მიბრძანდება, კიდევ წავიდეს, კარს ვინ გაუღებს. ცნობილი მწერალია და ინვევენ.

აქ ისევ ჯ. ხუხაშვილი აძლიერებს თავისი ამქრის ნევრთა პოზიციას:

— ჯემალ აჯიაშვილზე ისეთი რამ დაწერა, კაცი დაავადდა, ახლა საავადმყოფოში მკურნალობს.

— ჯემალ აჯიაშვილი სწორედ მან გახადა ავად. 80 წელს გადაცილებული გიგა ლორთქიფანიძეს 18 წლის ყმანვილის მეხსიერება ჰქონდა:

— ეგ რაღაც... რატომ დაწერა, კარგად მახსოვს, ჯემალს რომ დედა გარდაეცვალა, გურამი და ჯემალი ერთად აგვარებდნენ საორგანიზაციო საკითხებს...

მერე მერაბ ჩანჩალაშვილი ლაპარაკობს, მერე გივი წინუაშვილი.

იბადება კითხვა: რა არის ამ სტუმრობის მიზანი, რისთვის მოსულან ეს ადამიანები? იმისთვის, რომ ყველაფერი ეს გაგვაგებინონ, როგორც იტყვიან, საქმის კურსში ჩაგვაყენონ, თუ...

— არ შეიძლება საქართველოს მტერი, ის, ვინც წერს, რომ საქართველოში ანტისემიტური მიძინვარება, ის, ვინც თქვენ გატყუებთ — ისრაელის მოქალაქეობის მიღებას არ გიმხელთ, ქართული ჟურნალის რედაქტორი იყოს, არ შეიძლება ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი იყოს გურამ ბათიაშვილი. უნდა მოხსნათ! — დაბეჯითებით, კატეგორიულად ამბობს ჯ. ხუხაშვილი.

— იმისთვის მოვდივით, რომ ჟურნალის რედაქტორობიდან მოხსნათ! — მოითხოვს მეორე.

— დიახ, უნდა მოხსნათ!

— აუცილებლად, დაუყოვნებლივ!

გ. ლორთქიფანიძის, გ. ქავთარაძისათვის ათასგზის უთხოვნიათ, იქნებ, ესა და ეს კაცი აქა და აქ დანიშნოთ, ან დაანიშნინოთ, ისინიც ბევრს შენევიან, მაგრამ მოხსენითო, არა, ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა. ეს და ეს კაცი სამსახურიდან მოხსენით, ან მოახსნენიეთო, არავის უთხოვნიათ.

— საქართველოს მოლაღატა, მტერი. განა, შეიძლება ასეთი ადამიანი ქართული თეატრალური ჟურნალის რედაქტორი იყოს? — მტკიცედ

ამბობს ჯ. ხუხაშვილი და აფრიალებს გაზეთს „ობიექტივი“ — აი, ნახეთ, რამდენი ქართველი, ებრაელი გამოთქვამს გულისწყრომას, რამდენი ადამიანი ილაშქრებს გურამ ბათიაშვილის წინააღმდეგ.

გ. ლორთქიფანიძე არა მხოლოდ ნიჭიერებით აღვსილი ადამიანი იყო, ცხოვრების მცოდნეც, ათას ჭირ-ვარამში გამოვლილი და კარგად იცოდა, ასეთ ბინძურ პუბლიკაციებს როგორ ამზადებენ. დემაგოგიის არსიც იცოდა. რამდენი დემაგოგი შეხვედრია ცხოვრების გზაზე. რამდენი ამხედრებია, რამდენს უცდია მისი ცხოვრების ამღვრევა.

— შენ რატომ არაფერს ამბობ? — ეკითხება ბ-ნი გიგა გოგი ქავთარაძეს.

— ყველაფერი ისედაც გასაგებია — ხმადაბლა, თითქოს სხვათა შორის ამბობს გოგი ქავთარაძე.

ესენი რეჟისორები არიან. რეჟისორი კი ადამიანის სულში ჩამხედავი კაცია, იგი ათვალსაჩინოებს იმას, რასაც ტექსტი, შესტი ფარავს, ან მათს მიღმა იგულისხმება.

მართლაცა, ყველაფერი გასაგებია!
და ლაპარაკობს ბ-ნი გიგა ლორთქიფანიძე. ლაპარაკობს ქართველ ებრაელობაზე, ქართულ-

ებრაულ ურთიერთობაზე, იხსენებს ისრაელში სტუმრობას, იქაურ შეხვედრებს და დასძინებს:

— აი, რა, მეგობრებო, ჩვენ ამ საქმეში ვერ გამოგადგებით. „თეატრი და ცხოვრება“ თეატრალური საზოგადოების ჟურნალია, ჩვენი და არა თქვენი გადასანყვეტია, თუ ვინ უნდა იყოს ჟურნალის რედაქტორი. ჩვენ კმაყოფილი ვართ გურამ ბათიაშვილის მუშაობით.

P.S. ორი დღის შემდეგ, როცა გ. ლორთქიფანიძეს, გ. ქავთარაძეს და სთს პრეზიდენტის რამდენიმე წევრს ღამის სტუმრობაზე ჩემთან საუბარი ჰქონდათ (და ბ-ნი გიგა უკმაყოფილებას დაუფარავად გამოხატავდა: თუ ისრაელის მოქალაქეცა ხარ, მე რატომ არ ვიცოდი ჩვენ ხომ მეგობრული ურთიერთობა გვაქვსო), ზოგიერთი მიგრედა: ხუხაშვილი ბოდიშის მოხდას ითხოვს. გულისგარეთ, ყასიდად მოიხადე ბოდიში და მიაფურთხე ამ საქმეს, თორემ ისე არიან დარაზმულნი, სიბინძურეში გაგხვევენო.

ეს რჩევა იქვე იქნა უარყოფილი — ბოდიშის მოხდაზე უარი ითქვა. მე ამ კამათისას არა იმდენად ხუხაშვილის ჰამანისებურ საქციელზე, თუ მის ნარკობარონობაზე ვფიქრობდი, იმათ ბუნე-

ბას ვანალიზებდი, ხუხაშვილის მიმყოფლებად რომ იქცეის თავი და ჭაბუა ამირეჯიბის ფრაზა მახსენდებოდა: „რას დაგამსგავსათ სეთურმა, თქვე უბედურებო!“ მოცუბდა: ეს ცხოვრებაში ბევრისმნახველი ადამიანები რატომ არ ფიქრობენ საკუთარ ღირსებაზე, რატომ მიაქვთ იგი ხუხაშვილის ამბიციების სამსხვერპლოზე, ნუთუ, ვერ შეუცვნიათ, რომ ხუხაშვილი მათს ღირსებას, ბიოგრაფიას, სხვის დასათრგუნად და საკუთარი კარიერისათვის იყენებს?

ჭაბუა ამირეჯიბმა გვაჩვენა: სეთური იმასთან არის ძლიერი, ვისაც განსჯის უნარი, ღირსების გრძნობა დაჩლუნგებია, თორემ პიროვნებებთან მისი ძალა არა-რად იქცევა. ხუხაშვილმა ჩემს წინააღმდეგ ამხედრება არა მხოლოდ იმათ შესთავაზა, ვინც იმ სალამოს მისი მიმყოფლები იყვნენ მისი დაკვეთით ჩემზე პასკვილებს აცხობდნენ, ათას სიბინძურეს წერდნენ სხვებსაც. მაგრამ როცა ჭეშმარიტ პიროვნებებთან მივიდა, ის პასუხი მიიღო, რასაც ნამდვილი ადამიანები იძლევიან — აქ მისი მოტივაცია უმალ შეიცვალა.

მართლაც, მცირედნი არიან რჩეულნი!

უაქტიუბი ჯ. ხუხაშვილის პორტრეტს რომ ჰქმნიან:

2008 წლის 1 აპრილი. ჯ. ხუხაშვილი ისრაელის საელჩოში გამართულ თათბირზე დაუფარავად ილაშქრებს ჩემს წინააღმდეგ.

„მენორაში“ იბეჭდება ინფორმაცია საელჩოში, თათბირზე თუ რა ხმაური ატეხა ჯ. ხუხაშვილმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჯ. ხუხაშვილი თბილისის ბეით-ქნესეთებში (სინაგოგაში) იწვევს ებრაული ორგანიზაციის წარმომადგენლებს თითქოსდა ებრაული სახლის საკითხზე სასაუბროდ. სინამდვილეში კი ჩემს განსაქიქებლად. სვამს საკითხს ბათიაშვილი რატომ არის საქართველოს ებრაელობის ლიდერი. მალე ჩემს წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში ქართველებსაც რთავს — ქმნის საინიციატივო ჯგუფს.

იმისათვის რომ დარწმუნდეთ, თუ რა უკეთებიათ, რა ამოძრავებთ ამ საინიციატივო ჯგუფის წევრებს, გავცნოთ მათს საქმეებს. საქმე ხომ ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ადამიანის (ადამიანების ჯგუფის) რაობას. რასაკვირველია, ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, მათ ბევრი რამ ქმნეს, შევეცდები ნაწილი მაინც წარმოგიდგინოთ:

საინიციატივო ჯგუფის წევრები ხუხაშვილის მეთაურობით, მიდიან კ. მარჯანიშვილის თეატრში და მოითხოვენ შეწყვიტონ მუშაობა გ. ბათიაშვილის პიესაზე. თეატრს ალუქვამენ: თუ ბათიაშვილის პიესის რეპეტიციებს არ შეწყვეტთ, პრემიერაზე აურზაურს ავტეხთ, ჩაგიშლითო.

საინიციატივო ჯგუფის წევრები მიდიან ბ-ნი გივი სიხარულიძის რადიოგადაცემაში და მთელი საათის განმავლობაში ქართველ რადიომსმენელს ჩასჩინებენ, თუ როდენ ქვეყნის დამაქცევარია გურამ ბათიაშვილი. ისინი გ. სიხარულიძის შეძახილმაც: „ახლა ნუ გაუტივთ!“ ვერ დააცხრო.

საინიციატივო ჯგუფის წევრი მესენგისერი, აცხადებს ბათიაშვილი უნდა ჩაიქოლოსო.

საინიციატივო ჯგუფი, ცხადია, ხუხაშვილის მეთაურობით, 2012 წლის 19 მაისს მართავს პრეს-კონფერენციას და გ. ბათიაშვილს ბრალს სდებს პლაგიატში, საქართველოს დადანაშაულებაში — გ. ბათიაშვილი წერს თითქოს საქართველოში ანტი-სემიტიზმი მძვინვარებსო.

საინიციატივო ჯგუფის წევრები ავსებენ სატელევიზიო არხ „ობიექტივის“ ეთერს და მის მრავალრიცხოვან მაყურებელს საქართველოსა თუ უცხოეთში, ესაუბრებიან გ. ბათიაშვილის საქართველოსადმი მტრობაზე, პლაგიატობაზე.

ჯ. ხუხაშვილი ლამის ანიოკებს ლიტერატურული პრემია „საბას“ (როცა ჩემი პიესა ჟიურის მიერ „მორტ-ლისტი“ იქნა შეტანილი, ე.ი. საპრემიოდ გახლდათ დასახელებული), ჩვენ — ებრაელებმა ბათიაშვილს ანათემა გამოუცხადეთ, პრემია არ მისცეთო.

ჯ. ხუხაშვილი ქართველ მწერლებს შორის დარბის, ბათიაშვილის წინააღმდეგ მიმართულ პეტიციაზე ხელი მომიწერეთო. როცა მწერლები უარს ეუბნებიან, მობილური ტელეფონით უმალ იერუსალიმში რეკავს — იქედან იმველიებს ავტორიტეტს. მიუხედავად ამისა, არც ერთმა ჭეშმარიტმა მწერალმა ხელი არ მოუწერა. მოხალისე ხელისმომწერ „აკადემიკოსებს“, მოლექსეებს კი რა გამოლევს. ამათ ისიც უხარიათ, გაზეთის ფურცლებზე ჩემი გვარი გამოჩნდება, მეზობელი ტელეეკრანზე დამინახავსო.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა აატლახეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების კარი. მოდიან პეტიციებით გ. ბათიაშვილი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის თანამდე-

ბობოდან მოხსენითო.

საინიციატივო ჯგუფი მიმართავს საქართველოს მწერალთა კავშირს გ. ბათიაშვილი მწერალთა კავშირიდან გარიცხეთო (ხელისმომწერთა შორის პოეტის შვილი და თავადაც პოეზიის ნიშნით დალდასმული ერეკლე სალიანი გახლავთ. მე ეს ფაქტი სამარცხვინოდ მიმაჩნია, ალბათ, თავად სხვა აზრისაა და ამიტომაც თხოულობს მწერალთა კავშირიდან ჩემს გარიცხვას. 30-იანი წლების შემდეგ მწერალს მწერლის კავშირიდან გარიცხვა არ მოუთხოვია.)

ჯ. ხუხაშვილი, საინიციატივო ჯგუფის სახელით, თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელობას არ ასვენებს: გ. ბათიაშვილს კოტე მარჯანიშვილის პრემიას ნუ ანიჭებთო. საინიციატივო ჯგუფის წევრი დ. ჭელიძე კოტე მარჯანიშვილის პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრ პროფესორ ვასილ კიკნაძეს მოუწოდებს არ დაუჭიროს მხარი გ. ბათიაშვილისათვის კ. მარჯანიშვილის პრემიის მინიჭებას. ვ. კიკნაძის შეკითხვაზე „რას ერჩით ბათიაშვილს, რა გინდათ მისგან?“ დ. ჭელიძემ აშკარა გახდა ამათი მიზანი და ბრძოლის ხერხები: „გადადგეს საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარის თანამდებობიდან და არაფერს ვერჩით.“ აი, რისთვის წამოიწყო ეს ავანტიურა ხუხაშვილმა!

საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ხუხაშვილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს ანიოკებს თეატრისა და კინოს მუზეუმში ქართულ-ებრაული მეგობრობის ამსახველი გამოფენის — „ათასწლოვანი მეგობრობა“ გახსნისას ბათიაშვილი გამომსვლელთა სიაში რატომ არის, სიტყვა არ მისცეთო.

საინიციატივო ჯგუფის წევრი კვანტალიანი გაზეთის ფურცლებიდან იმუქრება: ერთი სული მაქვს ბათიაშვილს როდის მივცეყავავო.

საინიციატივო ჯგუფის წევრი კვანტალიანი იმავე გაზეთის ფურცლებზე აცხადებს ბათიაშვილი ჩავიდეს ამ ქალაქიდანაო. ხუხაშვილი „ალიას“ ფურცლებზე აცხადებს ბათიაშვილი ისრაელში ამბობდა შევარდნაძის მეგობარი ვარ და ხალხისგან ფულს იღებდაო.

2012 წ. აშშ-ს რუსულენოვანი ებრაული გაზეთ „ფორუმის“ რედაქციამ ინტერვიუ მოთხოვა. ვესაუბრე საქართველოზე, მის ებრაელობაზე. ინტერვიუ დაიბეჭდა. ხუხაშვილი ნიუ-იორკში მისწვდა გაზეთის რედაქტორს, ერთი ალიაქოთი აუტეხა: ბათიაშვილთან ინტერვიუს როგორ ბეჭდავო.

2012 წლის ზაფხულში ჯ. ხუხაშვილი გაზეთ

„ალიას“ ფურცლებზე აცხადებს გ. ქავთარაძე გ. ბათიაშვილი ბ. ივანიშვილთან მიიყვანაო. ძნელი მისახვედრი არ არის 2012 წლის ზაფხულში ეს განცხადება რას მიანიშნებს. ეს ხომ ის დროა, როცა „ოცნების“ მხარდამჭერებს უსწორდებიან.

საინიციატივო ჯგუფმა, ხუხაშვილმა მსოფლიოს ებრაულ ორგანიზაციებს საქართველოს ებრაელობა ნეგატიური სახით წარუდგინა. ხუხაშვილმა ასეთი სამსახური აი, როგორ გაუწია თავის ხალხსა და ქვეყანას: მსოფლიოს ებრაული ორგანიზაციები ხშირად მიწვევენ სხვადასხვა სახის თავყრილობაზე. ხუხაშვილმა თავისი სატელეფონო ზარებით, თქვენთვის უკვე ნაცნობი საინიციატივო ჯგუფის წერილებით, როგორც იტყვიან, აანიოკა ეს ორგანიზაციები: ბათიაშვილს რატომ იწვევთ, ბათიაშვილი ასეთი და ასეთიაო. ამ მიმართებით განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად ამირჩიეს.


საინიციატივო ჯგუფი, ხუხაშვილი ჩემს მოკრძალებულ პერსონას სპეციალურ გაზეთს უძღვნის — სისტემატურად სცემს გაზეთს „ობიექტივი“, რომელშიც არაფერი არ დაბეჭდილა გარდა, გ. ბათიაშვილის განმარტებული წერილებისა. ისეთი ეპითეტებით მამოკებენ, საქართველოს ლალატში ისე ჰაიჰარად მდებენ ბრალს, თითქოს წერდნენ ბათიაშვილს ერთი ვაშლი უნდა ეჭამა და ორი შემოეჭამაო.

2012 წელს ჯ. ხუხაშვილი ისრაელში ქ. ხაიფის სასამართლოში მიჩივის ბათიაშვილმა ნარკობარონობა დამაბრალაო. ქართულ პრესაში კი ავრცელებს ინფორმაციას გ. ბათიაშვილს მალე ციხეში ჩასვამენო. 2013 წელს ქ. ხაიფის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა — მე ციხეში არ ჩამსვა, ხუხაშვილს კი ჩემს სასარგებლოდ ჯარიმის გადახდა დააკისრა.

ჯ. ხუხაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში ხუთჯერ აღძრა საქმე ჩემს წინააღმდეგ, გ. ბათიაშვილი ნარკობარონობას მამბრალელო. საქმის განხილვაზე ხუთჯერვე უარი უთხრეს. მეექვსედ ბედმა გაუღიმა — საქმე განსახილველად მიიღეს. ვნახოთ რა იქნება!

ჯ. ხუხაშვილი განსაკუთრებით ძალმოსილი გახდა და ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა გააქტიურა მას შემდეგ, რაც ებრაელობისადმი ერთობ კეთილად განწყობილმა საქართველოს პირველმა პირმა ქართულ-ებრაული მეგობრობის 26 საუკუნოვანი იუბილეს ხელახლა გადახდის გადაწყვეტილება გამოაცხადა და ხუხაშვილი საიუბილეო კომიტეტის თანათავმჯდომარის სავარძელში მოთავსდა.

დიდი ხანია ჯ. ხუხაშვილი სხვადასხვა პირებთან, ინსტანციებში კვლავაც დაუღლელად ლაპარაკობს ჩემი და ჯ. აჯიაშვილის ურთიერთობის ღრუბლიან დღეებზე. კიდევ ერთხელ გამოვთქვამ ღრმა გულისტკივილს ამ ჩინებული მთარგმნელის გარდაცვალების გამო. ჯემალისა და ჩემი ურთიერთობა დაიწყო ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის წლებში — ერთ ქალაქში, ლამის ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით. იყო ხანგრძლივი, ნათელი ურთიერთობა, მაგრამ იყო ღრუბლიანი დღეებიც. არავისა აქვს უფლება ისპეკულიანტოს იმ ღრუბლიანი დღეებით. მით უმეტეს, როცა ჯ. აჯიაშვილის ფაქტორს ჯ. ხუხაშვილი თავის წარმოჩენისათვის იყენებს. ჯ. აჯიაშვილი ჩინებული მთარგმნელი გახლდათ. ამის თაობაზე დამინერია კიდევ, ამასთან იგი ატარებდა ყველა ადამიანურ თვისებას, არა მხოლოდ იმას, რაც ღირსებას გვმატებს, იმასაც რაც გვაკნინებს. ჯ. ხუხაშვილის დაუმცხრალობა, ვითომ სიმართლისათვის თავგამოდება დღის წესრიგში სვამს იმ ღრუბლიანი დღეების, გაუგებრობათა, უსიამოვნებათა მიზეზმდეგებზე სერიოზული საუბრის აუცილებლობას და მიწვევს, რომ ამ თემაზე საუბარი იქნას წამოწყებული. ერთის მხრივ, ჩვენი — ჯემალისა და ჩემი ურთიერთობის ნათელი დღეები, მეორეს მხრივ, მიცვალებულის პატივისცემა ჯერ კიდევ მაძლევს ძალას არ ავყვე ხუხაშვილის პროვოკაციას. ეს უგუნური გზაა. თქვენი განდიდებისთვის ნუ აწუხებთ მიცვალებულის სულს, ნუ ეწვეით გარდაცვლილზე ადამიანის თვისებებზე საუბრის პროვოცირებას. ვიმეორებ: ეს უგუნური გზაა.



მეგობრობა გზად და ხიდად

ისრაელი-საქართველოს მოქალაქეების ღია სივრცე

შარშან შემოდგომაზე თბილისში იმყოფებოდა ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასთან ხელი მოაწერა ისრაელსა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლას (ეს ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე წლის წინათ გადადგა — ისრაელის მოქალაქეები საქართველოში უვიზოდ მგზავრობდნენ). უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულება ხანგრძლივი პროცესია საქართველოსა და ისრაელს შორის უვიზო მიმოსვლის თაობაზე მოლაპარაკება ამ წლის ბოლოს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მარტში ისრაელის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება და საქართველოსთან დაჩქარებული წესით დაამყარა უვიზო მიმოსვლა.

ასე რომ, საქართველოს მოქალაქეები ისრაელში უკვე უვიზოდ მგზავრობენ.


ეს კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯია ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების გზაზე.

რუბრიკას უძღვება პროფესორი ავთანდილ ნიკოლაიშვილი

ეხუელი თემა ქართულ მნეხლობაში

გრიგოლ რობაქიძე

(წერილი მეჩვიდმეტე)



გრიგოლ რობაქიძის (1880-1962 წწ.) „გველის პერანგის“ (1925 წ.) მრავალეროვან პერსონაჟთა შორის მწერალმა რამდენიმე ებრაელიც გამოიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაწარმოების ეპიზოდურ პერსონაჟებს წარმოადგენენ და მოქმედების განვითარების პროცესში ფრაგმენტულად არიან ჩართულნი, ავტორისეული თვალთახედვის სრულყოფილად და სიღრმისეულად გასაზრებლად მათაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ შეძენილი. გარდა იმისა, რომ ისინი ნათლად და არაორაზროვნად ავლენენ მწერლის უდიდეს პატივისცემას ებრაელი ხალხის მიმართ, რომანის ამ კოლორიტულ პერსონაჟებთან დაკავშირებული ეს ეპიზოდები მეტი მასშტაბურობითა და ემოციური შთამბეჭდაობით გამოხატავენ ავტორისეული სათქმელის ფილოსოფიურ არსს. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად მოკლედ გავიხსენებ შესაბამის ფრაგმენტებს ნაწარმოებიდან.

როგორც ცნობილია, რომანის მთავარი პერსონაჟი არჩიბაღ მეკეში თანამგზავრებთან ერთად სპარსეთის ქალაქ ჰამადანიდან სამშობლოში მოემგზავრება. ღრმავლობითი ქვეტექსტებითა და სიმბოლურ-ალეგორიული ნიაღვრებით სავსე ეს მოგზაურობა მრავალმხრივი ასპექტით ავლენს მწერლის მსოფლმხედველობრივ თვალთახედვას — მის დამოკიდებულებას როგორც იმჟამინდელი ეპოქალური მოვლენებისადმი და ისტორიული წარსულისადმი, ისე დაუცხრომელ სწრაფვას ადამიანური ყოფის იდუმალი არსის შეცნობა-გაცნობიერებისაკენ. გრ. რობაქიძის მიერ წარმოსახულ ებრაელთა ფრაგმენტული სახეები, უპირველეს ყოვლისა სწორედ, ავტორისეული სათქმელის ზემოთ ხაზგასმული ნახნაგებით წარმოჩენას ემსახურებიან.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე სპარსეთში ეკბადანად წოდებული ჰამადანი აქემენიდების სამეფო დინასტიის საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. საუკუნეთა მანძილზე დროის მსახვრალმა ხელმა ყველაფერი ისე მოსპო და გაანადგურა, რომ იმდროინდელი დიდებიდან, მწერლის თქმით, „ეხლა მხოლოდ მინგრეული ნაშთი“ იყო დარჩენილი. ისტორიული დიდების ამ ნამუსრევიდან ავტორის განსაკუთრებულ ყურადღებას ქალაქის ერთ-ერთი მიზგიის ეზოში აგებული ესთერისა და მარდოხაძს აკლდამა იქცევს. აკლდამაში მოთავსებულ მათ სარკოფაგებზე, მათი სახელების გარდა, თაღმუდის ფრაგმენტებიც იყო ებრაულ და არაბულ ენებზე წარწერილი. ავტორის თქმით, ამ ადგილზე არა მარტო ებრაელები მოდიოდნენ სალოცავად, არამედ მაჰმადიანებიც. ისინი

„კედლებზე ფურცლებს აკრავენ. ფურცლებზე „მე ესა და ეს შვილი იმისა და ამ ქალაქიდან ვინახულე წმიდა ადგილი და ვილოცე“.

გარდა იმისა, რომ ესთერისა და მარდოხაძს ხსოვნასთან დაკავშირებული ამ უძველესი აკლდამის გახსენებით მწერალი კიდევ ერთხელ მიგვაპყრობინებს ყურადღებას ადამიანური ყოფის წარმავლობასა და ამაოებაზე, იქვე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში ებრაელთა დიდმნიშვნელოვან როლსაც უსვამს ხაზს თავისეული ფორმით. აი, როგორაა რომანში ეს ყველაფერი გამოხატული მწერლისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი სიტყვიერი ლაკონიზმით: „ესთერ და მარდოხაძ! როგორ შეჭრილან ჰებრაელები მიდიელთა სამთავროში! შენობის გუმბათზე ყანჩს ბუდე გაუკეთებია... არის ეს: ირონია საუკუნეთა შორის გადასულ ეკბატანის თუ ჰუმორი ჰებრაულ აკლდამის: არ იცის ყანჩმა, მან მხოლოდ ის იცის: რომ გუმბათზე აკანჭული და კუნწში გამყურე — იგი თავის პოზით მიმინოს ედავება ამაყი ყელაზიდვით რომ უზის ფეოდალს ხელზე“.

„ისტორიის სახნისის“ მიერ ათასგზის „გადახნულ“ ამ მიწაზე, რომლის ყოველი „ბელტი შორეულის სურნელს ასხურებს“, სპარსელებთან ერთად ებრაელებიც ცხოვრობდნენ. მათი ისტორიული ხვედრის წარმოჩენა-დახასიათების დროს გრ. რობაქიძე მკითხველს ხაზგასმული განზოგადებულობით შეახსენებს იმ უმთავრეს მომენტებს, რითაც ებრაელთა ამქვეყნიური ცხოვრება მკვეთრად და არსებითად განირჩევა სხვა ხალხების ყოფისაგან. მწერლის შეფასებით, ებრაელთა თითქოსდა შორეთიდან მომავალ მზერაში „რაღაც საიდუმლო“ იმალება, „თვალეში ირონია და სევდა. თვალეში თითქოს გეუბნება: მე ვიცი და შენ არ იცი — საიდუმლო. ტუჩებით თითქოს გამცნევს: ღმერთმა გაშროს ჩემი ხვედრი. გაბრუნდება. უკანიდან თვალს გააყოლებ: მზერაში გრჩება დანაოჭებული მიმქრალი ყვითელი ყურები. ეს ხაზი იქ უფრო გამახვილებულია, სადაც ჰებრაელთა რიცხვი ცოტაა: როგორც ჰამადანში“.

ებრაელთა თვალეში იდუმალად ჩამარხული ამ მიუწვდომელი სევდის თვითმხილველი არაერთგზის გამხდარა „გველის პერანგის“ მთავარი პერსონაჟი არჩიბაღ მეკეში, რომელიც უდიდესი ადამიანური თანაგრძნობითა და პატივისცემით ცდილობს ამ სევდის წარმომქნელი მიზეზების ახსნასა და გაცნობიერებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომანის ის ეპიზოდი, რომელშიც ყაზვინიდან ენზელამდე აქლემების ქარავნით მგზავრობის ამბავია მოთხრობილი.

ქარავნის მგზავრთა შორის ერთ-ერთი ებრაელიცაა. ირანის ამ თვალუწვდენელ და უსიცოცხლო უდაბნოში მოხვედრილ არჩიბაღს ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს პრეისტორიულ სამყაროში აღმოჩნდა, სადაც „დრო ჩერდება, არის მხოლოდ წარსული. ანმყო მიმქრალია, მომავალი ხანდახან თუ გაიფრქვება — როგორც აზრი თუ ფიქრი. არის მხოლოდ წარსული: და ისიც — როგორც ზმანებულის მოგონება“.

პრეისტორიულ წარსულად გარდაქმნილ სწორედ ამ გარემოში შეიგრძნობს არჩიბაღი ყველაზე მეტად იმ სევდის არსს, რომელიც

ებრაელთა მთელი მოდგმისათვის ქცეულა მარადიულად თანამდევ იდუმალ ნაღველად დასაბამიდან მოყოლებული დღემდე. ესაა ალთქმული ქვეყნის ვერმიგნებით თუ ვერპოვნით გამოწვეული დაუცხრომელი ტკივილი, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სევდა უცნოძს, ოხვრა უთქოძს“.

ებრაელთა თვალეში მარადიულად არსებული იმ იდუმალი სევდის წარმომქნელ უმთავრეს ფაქტორად მწერალი უპირველეს ყოვლისა, იმას მიიჩნევს, წუთისოფლის უდაბნოში მოხეტიალენი, ისინი თავიანთი ალთქმული ქვეყნის უნახავად რომ კვდებიან. ალთქმული ქვეყნის ცნებაში მწერალი ამ შემთხვევაში არა მარტო ებრაელთა ისტორიულ სამშობლოს გულისხმობს, არამედ ყოველი ადამიანის სულში იდუმალად და ქვეცნობიერად არსებულ იმ საოცნებო ქვეყანასაც, რომლისკენაც ის მთელი ცხოვრების განმავლობაში მიისწრაფვის. ამიტომაც შეიგრძნობს რომანის მთავარი პერსონაჟი განსაკუთრებული ემოციური სიმძაფრით იმ „ნაღველს“, რითაც ირანის პრეისტორიულ უდაბნოში სალოცავად განმარტებული ალთქმული ქვეყნის ვერმპოვნელი ებრაელის სულია მოცული.

ებრაელებისადმი ირუბაქ ირუბაქიძის პატივისცემული დამოკიდებულება ყველაზე მეტად მოსე წინასწარმეტყველისადმი მის სიყვარულში პოულობს გამოვლინებას. ამ სიყვარულის საფუძველს პირველ ყოვლისა, იმ უდიდესი დამსახურების სიღრმისეული გაცნობიერება წარმოადგენდა, რომელიც მოსემ შეასრულა ებრაელი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და ეგვიპტელთა ტყვეობიდან დახსნის საქმეში. უწინარესად სწორედ მოსე წინასწარმეტყველის ამ ღვთაებრივი მისიით აღფრთოვანების შედეგი იყო ის შეფასება, არჩიბაღ მეკეშის შორეული წინაპარი რომ აძლევდა ამ ბიბლიური ბრძენკაცის უდიდეს დამსახურებას მშობელი ხალხის წინაშე. მისი თქმით, „არ არის ხილვა უნათლესი სინაში. არ არის ხალხის დაურევება უძლიერესი ორმოცი წლის უდაბნოში ხეტიალისა. არ არის წყევა უსაშინლესი ისრაელისა“.


მოსე წინასწარმეტყველის ღვთაებრივი ძალისხმევის შედეგად ეგვიპტელთა ტყვეობიდან ებრაელთა გამოხსნის ამბის აზრობრივი ქვეტექსტი მწერალმა არჩიბაღ მეკეშის მიერ ეროვნული ფესვებისა და პიროვნული მეობის ძიების ურთულეს პროცესსაც დაუკავშირა არაპირდაპირი ფორმით. ალთქმული ქვეყნიდან ებრაელთა გამოძევებასა და „განზნევას ოთხი კარით ზეცილსა“ არჩიბაღ მეკეშის წინაპარი იმით ხსნის, რომ „ისრაელმა უღალატა თავის ღმერთს“. მაგრამ მწერალი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ დადგებოდა დრო და ებრაელ ხალხს კვლავ მოევიწყებოდა მოსეს მსგავსი ახალი წინამძღოლი, რომელიც ღვთის მიერ შთაგონებული გზით წაიყვანდა თავის ერს.

XX საუკუნის ოციანი წლების პირველ ნახევარში გამოთქმული ეს ოპტიმისტური თვალსაზრისი მსოფლიოში იმხანად უკვე ფართოდ მიმდინარე იმ სიონისტური მოძრაობის აქტიურ მხარდაჭერადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც რომანის დაწერიდან 24 წლის შემდეგ ებრაელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დაგვირგვინდა.

საქართველომ ისრაელს დაუთმო...

მეგობრობა გზად და ხიდად

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით სისტემატურად ტარდება ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის ევროპული ჯგუფის სამიტი, რომელშიც მონაწილეობენ სახელმწიფოთა მინისტრები, დიდი ტურისტული ფირმები. მომავალ წელს სამიტის გამართვაზე პრეტენზიას ბევრი ქვეყანა აცხადებდა, მაგრამ რეალურ კანდიდატებად ისრაელი და საქართველო მიიჩნეოდნენ. ამას წინათ საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ განაცხადა, რომ მეგობრული სახელმწიფოს — ისრაელის სასარგებლოდ ხსნის საქართველოს კანდიდატურას, რადგან დღეს ისრაელს ძლიერ სჭირდება ასეთი სამიტის ჩატარება: მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ ისრაელში მოგზაურობა სრულიად უსაფრთხოა.



სამაგიეროდ, საქართველო აპირებს თავისი კანდიდატურა წამოაყენოს 2017 წელს მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თბილისში ჩასატარებლად.



ებრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიალელი შნაურ ზალმანის თეოსოფია

ივსაკ ღავიდი

(გაბრძელება. ღასაწყისი 0ხ „მ“ №6, 7, 8, 9, 10, 11-12)

მაღაზი დეტერმინისტულად აცხადებს „განა ადამიანი ადგენს და სწყვეტს ღმერთის არსებობას?!“ (3:8).

დავიდისეული ფსალმუნნი ერთი დიდი დიალოგია ღმერთთან და დამყარებულია რწმენის აქსიომაზე (37:3 46:11 55:23 96:13 102:12) მეფე დავიდი, ფაქტიურად ებრაული მესიანისტური სახელმწიფოებრიობის დამაარსებელი, საუბრობს ღმერთის (იჰვჰ) წმინდა სულზე, რომელიც ადამიანში სუფევს (იხ. 51:13 83:3 92:6 118:22).

დავიდი კარგად იცნობს ხმელთაშუაზღვისა და მცირე აზიურ ტოპონიმასაც ფელემთ (პალესტინა) ზღვების კუნძულებიდან რომ შემოდიან ერეც-ისრაელში, თარშიმთართოსი და რაც მთავარია მეშეხ-მოსობ-მესხ-ეთ). „ოი, მე რომ მეშეხ-ში ვცხოვრობდიო...“ — აცხადებს იგი (120:5).

შელომოთი (ქართ. შოლომონ) იწყება ებრაული სიბრძნეთმეტყველება ანუ ბერძნ. ტერმინი რომ გვეხმარა — ფილოსოფია, რაც საფუძვლად დაედო შემდგომში საკუთრივ ხ.ბ.დ.-ის სისტემის ჩამოყალიბებასაც, (იგავნი 1:2).

შელომოსათვის ამოსავალია ცნება (ირათ იჰვჰ)-სი — ღვთისმოშიშობა, რაც მისთვის ყოველივე არსებულის საფუძველს წარმოადგენს (იხ. იქვე, 1:6 1:29 2:5, 6 3:5 8:12 9:10 14:26 15:16, 33 15:6 19:23 22:4 23:17 24:21 31:30).

შელომოს მრწამსით (ცედაკა თაცილ მიმავეთ) — ქველმოქმედება სიკვდილს გადაარჩენს (11:4 16:12 21:21) და შემდეგ „სანთელი იჰვჰ-სი სულია ადამიანისა (20:27 შდრ. იობი, 4:9 19:26 28:12).

ღრმა მსოფლმხედველობითი ყოვლისმომცველობით ხასიათდება შელომოსეული „კოჰელეთ“ (ქართ. ეკლესიასტე), რომლის ძირითადი მოტოც მისტიკურ-ნაჰილისტურია — „ამაოება ამაოებათა... ყოველი“ — აცხადებს მეფე გაერთიანებული ისრაე-

ლური სახელმწიფოსი ძვ. წ-ით 965-928 წ.წ.-ში (იხ. 1:2, 14), უფრო მეტიც მას მიაჩნია, რომ ნამატი სიბრძნისა სიბრაზეს იწვევს, ჭკუისა კი ტკივილს. (იქვე 1:18).

შელომოს ფატალიზმი შემდეგ მრავლისმეტყველ ფრაზაშია მოქცეული „რაც კი იყო, ისაა უკვე და რაც იქნება, იყო უკვე (3:15) გარდა ამისა, ადამიანი ვერ შესძლებს სულზე გამგებლობას, მის დატყვევებას (8:8), იგი ფატალიზმის ფილოსოფიას ქადაგებს (9:11) დრო და განგება განაგებენ ყველაფერს.

ასეთი ფატალისტური განწყობის შემდეგაც პოულობს სიბრძნისმეტყველი ხელმწიფე გამოსავალს, საშველი?! „გაატანე წყალს პური შენი, მრავალთა დღეთა შემდეგ კვლავ მოიძიებ“.

როგორც ცნობილია, რიგი შელომოსეული ნაწარმოებნი არაკანონიკურნი არიან ასე მაგ., „სიბრძნე“-ში უშუალოდაა საუბრები „ქვეყნიერების სულით აღვსებაზე“ (1:7) მე-15 თავში ღმერთის შეცნობა სრულ ჭეშმარიტებადაა გამოცხადებული.

ზირაქი თავის „სიბრძნე“-ში აღიარებს, რომ „უნინარეს სიბრძნე წარმოიშვა“ (1:4) ამასთან „ზოგის მღუმარებაში სიბრძნე ჩანს“ (20:5).

ბარუქ წინასწარმეტყველი იცნობს სულის შევიწროებასა და შეწუხებას (3:1).

დანიელს ესმის ყველა სიზმრისა და ჩვენებებისა, მასში სუფევს სული ღვთაებისა. (1:17 5:14).

წინარმოების „მეორე ნეშტა“ (ვიდრე ჰაიამიმ) მიხედვით ღმერთი ეცხადება შელომოს 1:7 15:1), წინასწარმეტყველების აქტი გარჩეულია საკუთრივ ჩვენებისაგან (ნეჟუა-ხაზოთ) (9:29).

კაბალისტის წარმოდგენაში, მისი თმა ცოცხლიერია თავის გამანადგურებელი ძალით. მისი ლოყები ეღვარებენ... რ. იოსეფის მიხედვით მთელი კოსმოსი ერთი დიდი სექსუალური აქტის გამოხატულებას წარმოადგენს, ანატომიურად ადამიანის ასო-

ნანილები კოსმიური ხის პარალელებს ქმნიან.

საკუთრივ, თორისეული ასოებიც კი, ძლიერი წარმოსახვის ნაკადში გამოხატავენ ღმერთისა და შეხინის კავშირს. რ. იოსეფის ხსენებული უნიკალური სისტემის მიხედვით, ებრ. ასო იოდი, წინდაცვეთის ნიშანს რომ ჩამოგავს, იქცა ხელმწიფის ფალუსად ანუ ასო ზაინ-ად, რომელიც უნდა მიიღოს მღედრ. სქეს. ასოს მსგავსმა ხეთ-მა.

თავის მისტიკურ-სქესობრივ წარმოსახვებში რ. იოსეფი შორსაც მიდიოდა, იგი ნიშანდობლივ მოძღვრავდა თავის მონაფეებს, რომ „წარმოესახათ მატრონა (ღ-ის დედრ. ასპექტი), რომელსაც ფეხები ჰქონდა გაშლილი, რათა მიეღო მამრ. ასო ზაინ-ი“.

კაბალისტის ამოცანაა საკუთარი სხეულებრივი შემცველობა დასცალ-დააცარიელოს თავისი „მე“-სგან, ასეთ შემთხვევაში იგი შესძლებს ერთი სუნთქვით ახალ სამყაროთა შექმნას. ხოლო ერთი ამოსუნთქვით მათ დახგრევას. ასეთი წარმოსახვები გამოხატავდნენ გონებრივ ექსკურსიებს ციურ ვრცეულებებში, ისევე როგორც იეზიპეელი აღწერს „მერქავა“-ს და რიგი სხვა წიგნებისა, მედიტაციებს რომ ეხებიან და ძველებრაულსა და სპარსულ-ინდურ გნოსტიკურ მიმდინარეობებს ეყრდნობიან.

თუ ადრე ღვთაებრივ შენაქმენზე იყო გადატანილი გულისხმიერება, ახლა უკვე უფორმოსა და უნივთო სამყაროს განჭვრეტდნენ აბსოლუტისა.

კოსმო-მისტიკური მენტალური მოგზაურობის განმავლობაში მჭვრეტელი ხშირად ხდებოდა მსხვერპლი ილუზორული წარმოსახვებისა, მაგ., მეექვსე ჰესხალ-ში კარი წარმოსახებოდა ვითარც მილიარდობით წყლის ტალღით მოელვარე მარმარილო, თუმც მასზე ერთი წვეთიც კი არ იყო.

მხოლოდ ადამიანის თვით-გარდასახვის გზით ხდებოდა შესაძლებელი, ღვთაებრივის განჭვრეტა. (შდრ. რ. ხანანელ ბ. ხუშიელის (11ს.) შენიშვნები, ასევე რ. ნათან

ბ. იეხიელის, რ. ჰაი გაონის, რ. შემუელ გაონისა და რ. ელიეზარ ბ. დურდიას (ცნობილი ცოდვილი) დაკვირვებები).

ხსენებული გამოცხადება-აპოკალიფსის (გილუი, ჰითგალუთ) თვალსაზრისს ვხვდებით ჩვენ ასევე, მთელ რიგ რელიგიურ-მონოთეისტურ მოძღვრებებშიც, ნამდვილი ჭეშმარიტება მიიწვდომება ფიქრთ-ჩაღრმავების (ქავანა) პროცესში, სწორედ აბსოლუტურ ყოფიერებაში (ებრ. იემ შეინ. ბერძნ. ტო ონტოს ონ) ინდურ. სატიასია სატიამ) და ა.შ.

ამასთან, ძველებრაული ცნება ღვთაებრივი გამოცხადებისა (გილუი) ყველაზე სრულყოფილია და აბსოლუტურიც, რამეთუ ისაა მარადმყოფი ქმნადობა თავისთავადი იჰვჰ-სი.

აკი არისტოტელემ დაინყო, ხოლო პანეცუსის როდოსელმა (ძვ. წ. 185-110) განავრცო სწავლება თეორიულსა და პრაქტიკულ ქველმოქმედებაზე, რომლის საყოველთაო და საბოლოო მიზანს ბედნიერების მოტანა შეადგენს.

ფილონ ალექსანდრიელიც (ძვ. 20 — ახ. 50 წწ) ხომ ლაპარაკობს სულის რვა ატრიბუტ — ნიშან-თვისებაზე, ემანაციაზე, იმ უზენაეს ენციკლოპედიურ ცოდნაზე, რომელიცაა საჭირო ჭეშმარიტების მისაღწევად, რეველაციური გამოცხადებით ჭეშმარიტებას კი წმ. ნანერი (ბიბლია) შეადგენს, რომელიც აქსიომატურად უნდა იქნეს მიღებული, მისი შეწვდომის საშუალებას მუდმივ-სრულყოფადი ფილოსოფიური მეთოდი წარმოადგენს.

ღმერთის შეუწვდომლობის არგანსაზღვრულობის იდეალიც ნათლად გამოკვეთილი აქ ანუ დეფინიცია იმისა, რაც არაა ღმერთი ვრცელ-დროით განფენილებაში, საკუთრივ რეფლექსია — ღვთაებრივის არეკვლის პროცესია.

ე.წ. უარყოფითი ანუ აპოფათიკური თეოლოგია ხომ ჯერ ფილონთან დაინყო, გაჰყვა ნეოპლატონისტებს, ორიგენს, გრიგოლ ნისელსა და თავის აპოგეას არეოპაგიტებთან მიაღწია.

საკუთრივ ღვთაებრივის გაადამიანების იდეა (ჰიმთალშელუთ) პატრისტიკაში, ღმერთის დაღმასვლის ანუ კენოსისის სახით ჩამოყალიბდა.

ფილონისეული აზრი ექსტაზირებული აღმაფრენის შესახებ, წმ. სულის შესამეცნებლად გატარებულია რ. ფინხას, ბ. იარის მიერ მიშნა-სოტაში, სადაც დადგენილია გზა, ასეთი მიზნის მიღწევისათვის, ზნეობრივი სისუფთავის, სინმინდის, მორჩილების, მოშიშებისა და კეთილშობილების საშუალებით.

ამასთან, ზემოხსენებული ყველასთან ერთნაირი ძალით როდი ვლინდება, ებრაელსა თუ არაებრაელს, ქალსა თუ კაცს... ყველას თავისი საზღაურის მიხედვით მიეცემა.

ებრაულმა მისტიკამ პალესტინაში აიდგა ფეხი. მის სათავეებთან ჩვენ ვამჩნევთ იოხანან ბ. ზაქაის, ელიეზერ ბ. ჰირკანოსს, აკივა ბ. იოსეფს და რაბი იშმაელს, რომლებიც წოდებულ იქნენ (იორდე მერქაბა-დ) ანუ ღვთაებრივ ეტლში ჩამსვენებლად. მათი ღვთაება იმ წმიდა ხელმწიფედ იყო ცნობილი, რომელიც უცნობი სამყაროებიდან ჩამოემვა „955 ცის“ გამოვლით და ტახტზე მოივანა. (მდრ. მეტატრონი, ჰეხალოთი).

კაბალისეული სიკეთე-ბოროტების დაპირისპირება, რაც ესოდენ ნათლად წარმოჩენილი შ.ზ. ლიადელის ფილოსოფიაშიც, თავის კავკასიურ ნიაღვრასაც პოულობს ძვ. აზერბაიჯანში განვითარებული მაზ-

დეიზმის, ზოროასტრიზმისა და მაგიზმის სახით, რაც შემდგომში გნოსტიციზმის და ქრისტიანობის გავლენით მანიქეიზმშიც გამოვლინდა.

პლოტინის (203-269) „ენეადებშიც“ ხომ აისახა ხსენებული ტრიადის ონტოლოგიურ-სუბსტანციური ანუ იპოსტასური ხასიათი, როცა პირველი მათგანი, - ერთიანი, წარმოადგენს ტრანსცენდენტალურ უზენაესობას, ანუ ბიბლიურ ბერეშითს (თავდაპირველობას), აქედანვეა პლატინისეული მისტიური შეხედულება სულის აღსვლის შესახებ. გრძნობითი მდგომარეობიდან ზეგონებრივი ექსტაზისაკენ.

პლატინითაც უზენაესი „ერთი“ არის ნყალობა (ხესედ), უსასრულო სინათლე და გამონათქვამი (ჰააცალა), დაღმა-სვლა (ჰამშახა), განჭვრეტა (ჰითბონენუთ), კატეგორიები (ბეხინოთ) და ა.შ.

უნიო-მისტიკა ანუ მისტიკური ერთიანობა ღვთაებასთან საერთოდ ყველა სახის რელიგიისთვისაა დამახასიათებელი, ფაქტიურად, თითოეული სარწმუნოების საბოლოო მიზანს სწორედ ასეთი მისტიკური კავშირის მიღწევა-განხორციელება წარმოადგენს. ეს გარკვეულ მიმართებაშიცაა რელიგიურ-ინდივიდუალურ ცნობიერებასთან, მისტიკური მიისწრაფის საერთო საყოველთაო კოსმიური ერთიანობისკენ და მისთვის გამოცხადება-აპოკალიფსისი არ შეადგენს ერთჯერად ისტორიულ მოვლენას, არამედ იგი საფუძვლად ედება მრავალჯერ განმეორებად აქტს.

ებრაულმა მისტიციზმმა, სულ სხვა საფეხურზე აიყვანა ღვთაებრივის შემეცნების განცდა, ამასთან კონკრეტული გზა-მიმართულება დასახა მის მისაღწევად.

დეუს აბსკონდიტუს „მიფარული, თავის თავში არსებული ღმერთი“ კაბალამ შესამეცნებელ-მისანვდომ რაობად აქცია. სავესებით მართალი იყო კაბალისა და ებრაული მისტიციზმის შესანიშნავი მკვლევარი გერშონ შოლემი, როცა მკვეთრად სვამდა საკითხს ენობრივ-გამომსახველობით ასპექტსა და მისტიკურ შემეცნებას შორის. „განა კი ვითარ შეიძლება. — წერდა იგი — მისტიკური განცდა ენობრივ პლანში გამოიხატოს, როცა იგი ისეთ ვრცელუბაშია, რომელიც უარყოფს ენასაც და გამოთქმასაც? ანუ როგორ შეიძლება შინაგანი პროცესი, ადამიანურის ღვთაებრივთან შერწყმის სტადია, სათანადო სიტყვებით იქნეს აღწერილი?“ (იხ. Gershon Sholem, Major Trends in Jewish Mysticism, 1957).

საქმე გვაქვს ღვთაებრივი სამყაროს წარმოდგენა-ობიექტივაციის ცდასთან, სწორედ ებრაული ენის მეშვეობით, რადგანაც ენა აღწევს ღვთაებას, რომლისგანაცვე მომდინარეობს იგი. დღემდე გამოქვეყნებულ ოთხ ათასამდე და გამოუქვეყნებელ ათასობით მისტიკურ-კაბალისტურ ხელნაწერში, ცხადადაა მინიშნებული, რომ ჩვენი საბოლოო მიზანია იმ გზას დავუბრუნდეთ და განვვლოთ ხელახლა სანინაღმდეგო მიმართულებით, რომლითაც ჩვენ ღვთაებას დავშორდით, მოვწყდით, ე.ი. საუბარია უკუქცევით პროცესზე (მდრ. დიასტოლა-სისტოლის ცნებები).

კაბალისტი ვერ იხელმძღვანელებს მხოლოდ შესასწავლი, დასაზუთხი მითითებებითა და დარიგებებით. მას კერძო-პირადული დატვირთვის უდიდესი ძალაც სჭირდება, რაც შესაძლოა ღრმა საიდუმლოებებითაც იყოს შებოჭილი. ამდენად, პიროვნების განწყობაც მისტიკურ-საიდუმლო პერიპეტიების პარადოქსში იკვეთება.

(გავრძელება იქნება)



ქ.თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის გამგეობა, მთელი ჯამაათი თანაგრძნობას უცხადებს ჯამაათის მეგობრებს — მიხეილ და იცხაკ მირილაშვილებს სიდედრისა და ბებუის

მარო (როზა) შაფთოშვილის
გარდაცვალების გამო.

თბილისის ებრაული სკოლა „ორ ავნერის“ დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მიხეილ და იცხაკ მირილაშვილებს სიდედრისა და ბებუის

მარო (როზა) შაფთოშვილის
გარდაცვალების გამო.

ბესო და ნორა მიხელაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ლაურა, მიხეილ და იცხაკ მირილაშვილებს დედის, სიდედრისა და ბებუის

მარო (როზა) შაფთოშვილის
გარდაცვალების გამო.

ბელა, რომან, ბესო მიხელაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ლაურა, მიხეილ და იცხაკ მირილაშვილებს დედის, სიდედრისა და ბებუის

მარო (როზა) შაფთოშვილის
გარდაცვალების გამო.

მალხაზ ბათიაშვილი თანაგრძნობას უცხადებს ლაურა, მიხეილ და იცხაკ მირილაშვილებს დედის, სიდედრისა და ბებუის

მარო (როზა) შაფთოშვილის
გარდაცვალების გამო.

ციალა, გურამ ბათიაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ლაურა, მიხეილ (მიხო) და იცხაკ (სლავა) მირილაშვილებს დედის, სიდედრისა და ბებუის

მარო (როზა) შაფთოშვილის
გარდაცვალების გამო.

დაფუძნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რედაქტორი: გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557

9771987898003

რეგისტრირებულია: ქ. თბილისის ათაფინდის რაიონის სასამართლოში

რეგისტრაციის № 4/1-921